ექსპერტიზის

ანგარიში

(კორექტირებული)

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩის 32 ნომერში (ს/კ N 01.72.14.036.541), საოფისე შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. ექსპერტიზის სახეობა:

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ინსპექტირება.

2. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

შპს "გ და თ სერვისი"-ს მიერ, პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩის 32 ნომერში (ს/კ N 01.72.14.036.541), საოფისე შენობის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:
საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

3. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:

პროექტი მიზნად ისახავს საოფისე შენობის მშენებლობას. შპს "გ და თ სერვისი"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩის 32 ნომერში და შედგება ერთი საკადასტრო ერთეულისგან - ს/კ N 01.72.14.036.541; ნაკვეთის ტიპი: არასასოფლო-სამეურნეო; ფართობი: 1991 კვ.მ; მესაკუთრე შ.პ.ს. "გ და თ სერვისი" ს/კ 202384856. მიწის ნაკვეთს დასავლეთიდან 01.72.14.036.491 და 01.72.14.036.495 საკადასტრო ნაკვეთები, აღმოსავლეთიდან 01.72.14.036.530 და 01.72.14.036.482 საკადასტრო ნაკვეთები, სამხრეთიდან კი 01.72.14.036.507, 01.72.14.036.506, 01.72.14.036.523, 01.72.14.036.524 საკადასტრო ნაკვეთები. აღნიშნული მეზობელ ნაკვეთებზე ძირითადად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც გათვალისწინებულია III კატეგორიის საავტომობილო გზის (ქუჩის) მოწყობა. საპროექტო ტერიტორია ხასიათდება მარტივი, სწორი რელიეფით. აფსოლუტური ნიშნული ზღვის დონიდან 456.16 – 457.25 მ.

არსებული პროექტის შინაარსის აღწერა:

საპროექტო შენობა წარმოადგენს IV კლასის შენობა-ნაგებობას. მშენებლობის დროს მიწის ტერიტორიაზე დროებით მოეწყობა დაცვის ჯიხური (2მ X 2.5მ). შენობა შედგება ორი ერთმანეთთან მიდგმული მართკუთხედი სექციისგან : სამსართულიანი სექცია ზომებით 11.6 მ x 29.35 მ (ღერძებში), ერთსართულიანი კი 14.6 მ x 27.5 მ (ღერძებში). შენობის სტრუქტურული სიმაღლე 9.70 მ. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1991 კვ.მ.-ს. განაშენიაბის ჯამური ფართობი შეადგენს 802.1 კვ.მ.-ს. შენობის საერთო ფართობი, პირველ სართულზე, შეადგენს 735.5 კვ.მ-ს., მეორე სართულზე - 47.7 კვ.მ.-ს, ხოლო მესამე სართულზე - 333.4 კვ.მ.-ს. გამწვანების ფართობი შეადგენს 398.2 კვ.მ-ს. გათვალისწინებულია 2014 წლის 07 იანვრის საქართველოს მთავრობის #41 დადგენილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პანდუსის მოწყობა. ასევე გათვალისწინებული იქნება ეზოს კეთილმოწყობა.

შენობის ±0.00 ნიშნულზე დაგეგმილია მაღალჭერიანი საოფისე ზონა, დაცვის ოთახი, საშხაპე, საპირფარეშოები (მათ შორის შშმ პირთათვის) და კიბისუჯრედი. შენობის +3.00 ნიშნულზე დაგეგმარებულია ინდივიდუალური საოფისე ფართი, +6.00 ასევე განთავსებულია საოფისე ზონა, ქალთა და მამაკაცთა საპირფარეშოები, სათავსო (დამლაგებლის), ღია მოწევის ადგილი სტაფისთვის.

კორექტირებული პროექტის შინაარსის აღწერა:

კორექტირებული შენობის პროექტში ±0.00 ნიშნულზე ახლა დაგეგმილია საოფისე სივრცე, ორი სამაცივრე სივრცე, საწყობი, ტამბურები (ტემპერატურული რეჟიმის დასაცავათ), გასახდელები, შშმპ ტუალეტი, ჰოლი და კიბის უჯრედი. +3,00 მ ნიშნულის ანტრესოლი დაუკავებელია. +6,00 მ ნიშნულზე ბრტყელ სახურავზე ამოღებულია სარეკრეაციო ზონა და სახურავი გამოიყენება როგორც საევაკუაციო გზა გარე გზა-კიბემდე.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

საპროექტო შენობის კონსტრუქციული კარკასი ნაწილობრივ წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითურ კარკასული ტიპის კონსტრუქციას (სვეტები, კოჭები, ფილები). კარკასი დაფუძნებულია წერტილოვან რ/ბ საძირკვლებზე. კედლები და ტიხრები აგებულია ბეტონის ბლოკის გამოყენებით. გადახურვები, მათ შორის სახურავი შესრულებულია რ/ბ მონოლითური ფილების გამოყენებით.

4. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შესრულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 დეკემბრის N737 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

6. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

7. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.** პროექტში გამოყენებულია საქმიანი ჯგუფი **(სქ**) დაკავებულობა:

1. **304.1 საქმიანი ჯგუფი სქ. საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები მოცავს შემდეგს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

   საქმიანი ჯგუფი სქ - საოფისე ფართობი ±0.00 მ ნიშნ., საოფისე ფართობი, არქივი, სასერვერო, სამზარეული +6.00 ნიშნულზე, ასევე სათათბირო ოთახი შუალედურ +3.00 ნიშნულზე - წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს:

   - საქალაქო/მუნიციპალურ და სამთავრობო ადმინისტრაციას;
   - საცდელ/საექსპერიმენტო და კვლევით ლაბორატორიებს;
   - მშრალი წმენდას და სამრეცხაოებს: მიღება-ჩაბარების პუნქტებს და თვითმომსახურებას;
   - სატელეფონო კვანძებს;
   - მონაცემთა ელექტრონული დამუშავებას;

   სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9.3, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. დამკავებელთა რაოდენობა შეადგენს 90+5+29=124-ს სართულების შესაბამისად.

2. **სასაწყობო ჯგუფები სწ-1** დაკავებულობა (ქალის და მამაკაცის გასახდელები და საწყობი) სართული ±0,00 მ ნიშნულზე წესების **311.1 სასაწყობო ჯგუფი სწ. სასაწყობო ჯგუფის (სწ)** - დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა. **311.2 საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1**. საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც **სწ-2** ჯგუფის და სადაც ინახება შემდეგი, მაგრამ არა მხოლოდ:

- წიგნები და ქაღალდის რულონები ან შეკვრები;
- მუყაო და მუყაოს ყუთები;
- ტანსაცმელი, მათ შორის - შალის;
- თოკები;
- ავეჯი.

   1004 ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით აღებულია ფაქტორი „46,5“ და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 და 20 (კარადების რაოდენობით) დამკავებელს პირველ სართულზე.

3. **სასაწყობო ჯგუფის სწ-2** დაკავებულობები, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა. **311.3** ქვეთავი-ს შესაბამისად კლასიფიცირდება მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** - შენობები, სადაც მოთავსებულია შემდეგი საქონელი, მაგრამ არა მხოლოდ:

- საკვები პროდუქტები;
- საკვები ცეცხლგამძლე კონტეინერებში;
- ახალი ხილი და ბოსტნეული არაპლასტმასის ლანგრებზე ან კონტეინერებში;
- გაყინული საკვები.

პროექტში **სწ-2** დაკავებულობას მიეკუთვნება ±0,00 მ ნიშნ. განთავსებულია სამაცივრე სივრცეები.
1004 ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით აღებულია ფაქტორი „46,5“ და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 2 დამკავებელს.

4. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** და **414.2.4 ქვეთავის** მიხედვით), შენობაში არსებული

დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **II-B** კონსტრუქციის ტიპი.
პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს და 601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

5. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული **II-B** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს **9.20** მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან +6,60 მ-ზე, ანუ 23,00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, *„წესების“* განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს ***„წესების“*** **503 ცხრილის** მოთხოვნებს.

6. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე მოთხოვნილი ორის ნაცვლად, შენობას ემსახურება სამი გზა-კიბე.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:
პირველ სართულზე ±0.00 ნიშნულზე საქმიანი **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვიდან (74) და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე, ემსახურება მოთხოვნილი 2 გასასვლელი გზა-კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 35.00 მ-ს.
მეორე სართულზე, +3.00 ნიშნულზე, განთავსებული საქმიანი **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვიდან (5), გასასვლელისკენ მიმავალი მოკლე სავალი მანძილის (11 მ) და წესების **1021.2(2)** ცხრილიდან გამომდინარე, ემსახურება 1 გასასვლელი - 1 გზა-კიბე, რომელიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
მესამე სართულს (სქ ჯგუფის დაკავებულობა, დ.დ.=44), სადაც განთავსებულია საოფისე და საკუჭნაო ფართობები და ტუალეტები, ემსახურება ორი გზა-კიბე: თ-ზ და 8’-9 ღერძებში მდებარე შემოზღუდული კიბე და ღერძებში 1 დ ა-ბ’ განთავსებული დამხმარე გარე გზა-კიბე, რომელზეც შესაძლებელია პირველი სართულის სახურავის ზედაპირის გავლით მოხვედრა.

პირველი გზა-კიბე მოწყობილია **1022.10. ქვეთავის** შესაბამისად და დანარჩენი სივრცეებისგან შემოზრუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით. გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე

ღიობები დაცულია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარების ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეების დაშორებასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების კვამლგაუმტარ შემოზღუდვასთან დაკავშირებით. შიგა გასასვლელის გზა-კიბე და გარე კიბე ერთმანეთისგან დაშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით.

7. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 1,16 და 1,18 მ სიგანის გზა-კიბეები. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ თავისუფალ სიგანეს.

8. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (**1104 ქვეთავი**), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას ±0,00 მ ნიშნულზე, **სქ** ჯგუფის დაკავებულობაში და ტუალეტში, რაც აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.
შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, მათზე მოხვედრა შესაძლებელია ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;
ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.
შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და ყველა მის ნაწილამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

9. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8** ცხრილს. მოცემულ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **602 ცხრილის** მიხედვით, ფასადის გარე კედლები დაშორებულია ტერიტორიის საზღვრებს მანძილებით 3,66 მ-დან 23,13 მ-დე და ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება კონსტრუქციული კლასიდან და მანძილებიდან გამომდინარე.

გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

10. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი, გადახურვის ფენილი შედგება - შენობის სახურავი მოყობილია შემდეგნაირად: რკინა ბეტონის ფილა მასზე ორთქლსაიზოლაციო ფენა, დამათბუნებელი ფენა, ჰიდროიზოლაციის ფენა, 'ტექნოელასტის ეპპ' ბითუმის პრაიმზე ფენა.

სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ ხარისხს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს (**ცხრილი 1505.1ა**)

„**1505.4 C კლასის სახურავის ანაწყობები. C** კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას."

IA	IB	IIA	IIB	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	C [ბ]	B	C [ბ]	B	B	C [ბ]

სახურავი ბოლოვდება **705.11.1** ქვეპუნქტის მიხედვით მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით, მიუხედავად იმისა, რომ **705.11** ქვეპუნქტის მე-3 გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის არქონის გამო შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

11. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია მხოლოდ **სქ** ჯგუფის სახით.

კონსტრუქციის ტიპიდან **(II-B)** გამომდინარე შენობის იატაკის კონსტრუქციას არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი (601 ცხრილი), რაც პროექტით გათვალისწინებულია და დაკავებულობების შესაბამისად აუცილებელი გამიჯვნებიც **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს შეესაბამება.

±0,00 მ ნიშნულზე განთაცსებული **სქ და სწ-2** დაკავებულობები მოითხოვს 1 სთ ცეცხლმედეგობის კედლებს და 45 წთ ცეცხლმედეგობის კარებს, **+3,00 და 6,00 მ** ნიშნულებზე მდებარე საქმიანი ჯგუფის დაკავებულობებს არ მოეთხოვება თარაზული გამიჯვნა, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანია **1009.3.1.2 ქვეპუნქტის** შესაბამისად. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის და 716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.

12. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსება **906 ქვეთავის** შესაბამისად;
- ლიფტის შახტაში, სწ-1 დაკავებულობებში და სამაცივრე სივრცეებში სწ-2-ში გათვალისწინებულია ხელოვნური განიავება;
- სამზარეულოში უნდა დაყენდეს ცეცხლმაქრები; სწ-1 დაკავებულობის საწყობში და გასახდელებში გათვალისწინებულია კვამლაღმომჩენები **907.2.11.1 და 907.2.12 ქვეთავების** და **907.2.6.2 ქვეთავების** მიხედვით;
- ავარიული განათების ბილიკი **1024 ქვეთავის** შესაბამისად.

- საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია ***„წესების“*** **912 ქვეთავში.**

13. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16 თავის** მიხედვით.

სქ ჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია დაკავებულობიდან გამომდინარე და პროექტით გათვალისწინებულია **1602.2 ქვეთავის** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით მოთხოვნილი რაოდენობის მოწყობილობები.

14. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - შპს "გ და თ სერვისი".
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

(კორექტირებული)

შპს "გ და თ სერვისი"-ს მიერ წარმოდგენილ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩის 32 ნომერში (ს/კ N 01.72.14.036.541), საოფისე შენობის კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და **საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

თბილისი

8 აპრილი 2026 წ

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	ნატალია ვასილიევა
დაბადების ადგილი:	საქართველო, თბილისი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41
ტელეფონი:	(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479
ენები:	ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1980 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). წარჩინების დიპლომი.

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. ასპირანტურა, მოწმობა.

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. სერტიფიკატები.

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტრენინგები.

ს ა მ უ შ ა ო გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა :

2017.11-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: ტექნიკური მენეჯერი.
2017.05-	შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“, თანანმდებობა: არქიტექტორი-ექსპერტი.
2017.05-	შპს „არქტრენინგ ცენტრი“, თანანმდებობა: ტრენერი.
2014-2017	შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია), თანანმდებობა: არქიტექტორი.
2011-2012	შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება) თანანმდებობა: არქიტექტორი.
2008-2011	შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა), თანანმდებობა: არქიტექტორი.
1998–1999	მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: კონსულტანტ–არქიტექტორი.
1987–1996	ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: უფროსი არქიტექტორი.
1979–1981	„თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: არქიტექტორი.
1973-1974	საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: ლაბორანტი.
1972-1973	კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: ტექნიკოს-არქიტექტორი.

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები,
წყნეთი გაზ- და ბენზინგასამართისადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი,
შეშელიძიოს ქ.
საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.,
61
ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი ბაზრის შენობა,
რუსთავი სასაწყობო შენობა
მრავალბინიანი საცხოველი კომპლექსი ქ. თბილისში, აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ
ქ. ბათუმი, საბავშვო ბაღები ##6, 10, 15,16
ქ. თბილისი, სამედიცინო ძაფების ქარხანა
ქ. თბილისი, ინგოროყვას კლინიკის რეკონსტრუქცია
ქ. თბილისი, ალადაშვილის კლინიკის რეკონსტრუქცია

ქ.თბილისი, კლინიკა ინ ვიტრო
ავტოგასამართი სადგურები თბილისში, გურჯაანში, ახმეტაში,
ყვარელში, მუხრანში, საგურამოში, თერჯოლაში, ოქროყანაში და სხვ.

უნარჩვევები:

საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;

ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;

ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

პუნქტუალობა
ორგანიზებულობა
ანალიტიკური აზროვნება
მაღალი პასუხისმგებლობა
ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი
კარგი კომუნიკაციის უნარი


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ნატალია
NATALIA
გვარი / LAST NAME
ვასილიევა
VASILIEVA
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მდ / F
01019013928
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
09.02.1955
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
21.10.2029
ბარათის No / CARD No
19IA44248
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
21.10.2019
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE019IA44248201019013928<<<<
5502093F2910219GE0<<<<<<<<<<<4
VASILIEVA<<NATALIA<<<<<<<<<<<<


დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ვასილიევა ნატალია ვასილის ასულს

მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა საქართველოს ს.ორჯონიკიძის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1980 წელს დამთავრა დაწესებულების დასახელება

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ. „10" 07 გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარე [illegible]

რექტორი [illegible]

ქალაქი თბილისი 1980 წ. „30" 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой Наталье Азаровне

в том, что он(а) в 1974 году поступил(а) в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончил(а) полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 07 1980 г.

Васильевой Н.А.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор [illegible]

Секретарь [illegible]

М. П. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.

არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ს/ნ 402050052 მის: ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24 ტელ: 599 400 208

ქ. თბილისი 15/06/2022 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნატალია ვასილიევას (პ/ნ 01019013928, ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, შალვა ცინცაძის ქ. 41) მასზედ, რომ ის ნამდვილად მუშაობს შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრში“ არქიტექტორ-ექსპერტისა და ტექნიკური მენეჯერის თანამდებობაზე 2017 წლის 3 მაისიდან დღემდე.

ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

დირექტორი: /ჯ. ჯოხაძე/

შპს პროგრესი
პ.ქავთარაძის 14ა, 22-ე სართული, თბილისი
www.progresi.com.ge

ცნობა

ეძლევა მოქალაქე **ნატალია ვასილიევას** (პირადი ნომერი 01019013928) მასზედ, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის აპრილამდე ის მუშაობდა შპს 'პროგრესი'-ში (საინდეტიფიკაციო ნომერი: 204970380) არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს „პროგრესი"-ს
დირექტორი

ჯონი გიგინეიშვილი
აკადემიური დოქტორი მშენებლობაში



ს/ნ 402098314

სახანძრო ექსპერტიზის ბიურო

არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში

ანგარიში

№ BI-092

თარიღი:

29.05.2025წ.

დამკვეთი-განმცხადებელი : შპს ,,გ და თ სერვისი" (ს/ნ 202 384 856)

იურიდიული მისამართი : ქ, თბილისი, მირიან მეფის № 68ა

ტელეფონი: 577470032

შენობის მისამართი: ქ, თბილისი, აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა № 32 (ს/კ. 01.72.14.036.541)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება : საოფისე შენობა

დამმონტაჟებელი ორგანიზაცია : შპს ,, გ და თ სერვისი"

ხელშეკრულება: № G-136

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური: 11.03.2022 წ. **ბრძანება** № 6191817

შემსრულებელი ინსპექტორი : ალექსანდრე გურგენიძე

წინამდებარე ინსპექტირების დასკვნა მოიცავს კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშისა და ევაკუაციის მართვის სისტემების შეფასება/ინსპექტირებას.

ინსპექტირების დროს გამოყენებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი.

საინსპექციო ობიექტის ერთი ნაწილი ორ სართულიანა, ხოლო მეორე ნაწილი ერთსართულიანი, შენობაში განთავსებულია საოფისე ფართები. ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ცალკე მდგომი დაცვის ოთახი. შენობა აღჭურვილია სახანძრო სისტემებით კერძოდ:

საგანგაშო ხელით სამართავი სისტემა: შენობის საევაკუაციო გასასვლელ კარებებთან დამონტაჟებულია ,,J-SAP TCSB 5264" მარკის ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები, რომლებიც განთავსებულია ადვილად მისადგომ და დასანახ ადგილებში.

სახანძრო განგაშის სისტემა: შენობის საევაკუაციო გზები უზრუნველყოფილია ,,TCSG 5270" მარკის საგანგაშო ხმოვანი და ვიზუალური სისტემით, რომელთა განთავსების ადგილები და მათი ცეცხლგამძლე ელექტროგაყვანილობა (273104 ოპტიკური კაბელი) შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა: შენობაში მოწყობილია ,,JTY-GM-TC 5161"-ს მარკის კვამლაღმომჩენი დედექტორები. კვამლაღმომჩენი დეტექტორები და

ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები მიერთებულია ,,TC-5909" მარკის განგაშის საკონტროლო მრავალბლოკიან სამისამართო პანელეთან, რომელიც განთავსებულია დაცვის ოთახში. სახანძრო განგაშის და კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემის ელექტრომომარაგება ხორციელდება შენობის ელექტრო გაყვანილობიდან, ასევე სისტემა აღჭურვილია სათადარიგო ბატარეით. შენობაში ხელოვნურად გააქტიურებული იქნა კვამლის აღმომჩენი დეტექტორები და ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფები, გააქტიურების შედეგად ამოქმედდა ვიზუალური და ხმოვანი საგანგაშო სისტემა, იგივე ქმედება განხორციელდა შენობაში ძირითადი ელექტროენერგიის გათიშვის შემდგომ, სისტემებმა იმუშავეს სათანადო რეჟიმში. შემოწმებისას „ST-9604" მოდელის ხმის დონის საზომ ხელსაწყოზე დაფიქსირდა 71,1 დეციბელი, რაც შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

დეტექტორების გასააქტიურებლად გამოყენებული იქნა ,,SOLO"-ს მარკის ტესტერი.

ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემა: შენობა უზრუნველყოფილია გასასვლელების მიმართულების განათებული მაჩვენებლით „EXIT", ასევე შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათების სისტემა. ინსპექტირებისას შენობაში ძირითადი ელექტრო კვების გათიშვის შემდეგ ავტომატურად ჩაირთო ავარიული განათება.

შემოწმების პროცედურები დაფიქსირებულია ფოტო და აუდიო-ვიდეო მასალებით ,,POCOX7PRO" მოდელის პლანშეტით.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, ქ. თბილისი, აბაშიძე-ორბელიანის № 32-ში (ს/კ. 01.72.14.036.541) მდებარე საოფისე შენობის კვამლაღმომჩენი, საგანგაშო და ევაკუაციის მართვის სისტემები არის მუშა-გამართულ მდგომარეობაში და შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს.

ინსპექტორი: ალექსანდრე გურგენიძე

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექ. მენეჯერი: ნუგზარ მაისურაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა დირექტორი: ნუგზარ მაისურაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0337

ადასტურებს, რომ

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №17

გაცემულია 19 თებერვალი 2024 წელი

ძალაშია 19 თებერვალი 2028 წელი

იხ. სფერო და სტატუსი

გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0337**
განკარგულება N06/39
თარიღი: 19.02.2024

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მჭელაძე



A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს

აკრედიტაციის სფერო

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“

მისამართი : ქ.თბილისი სამტრედიის ქუჩა N17;

	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1	ობიექტის ან მისი ნაწილის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი) მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41); 6. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 7. ინსპექტირების პროცედურები.
2	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროეტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან.და დადგენილ მოთხოვნებთან	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СниП -ნაწილი 2) 2. ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება N 41) 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЕ) 5. ინსპექტირების პროცედურები.